

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური სივრცე და ინფორმაციული აბრეშისაგან დაცვის პრობლემა

თემურ ჯაგონიშვილი, ოთარ შონია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გადმოცემულია ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური სივრცის მახასიათებელი თავისებურებანი, განიხილება ინფორმაციული აგრესიის საკითხები და მისი გამოვლენის გარკვეული ფორმები. აღნიშნულია, რომ ინფორმაციული აგრესიის სფეროში კვლევების არსებული პრაქტიკა (ინტერვენცია პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძველზე) მიმდინარე ეტაპზე არასაკმარისია. გამოკვეთილია თავად ინფორმაციის ბუნების შესწავლის აუცილებლობის თეზისი. აღნიშნულ მიმართულებაში კვლევის ერთ-ერთ შესაძლო გზად შემოთავაზებულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის პრინციპის გამოყენება - ინფორმაციის ტექსტის დაყოფა თემა-სემა-რემატიულ ნაწილად შეტყობინებების (გამონათქვამების) სახით, და ამით ინფორმაციის ინტელექტუალური გააზრების შესაძლებლობა მისი შინაარსის ოპტიმალური მიდგომით გადასამუშავებლად და ინფორმაციული აგრესიის აღსაკვეთად. გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაციის ტექსტის შინაარსის ინტელექტუალური გააზრება მასში საშიშროებათა და აგრესიათა გამოკვეთის მიზნით მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, შემოთავაზებულია საგანმანათლებლო სივრცეში შემოტანილ იქნას ისეთი ახალი სასწავლო დისციპლინები, როგორცაა “ინფორმაციული აღზრდა” და “ინფორმაციულ-კომუნიკაციური განათლება”.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური სივრცე, კომუნიკაციური ლინგვისტიკის პრინციპი, ტექსტის ინფორმაციული აგრესია, თემა, სემა, რემა.

1. შესავალი

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური სივრცე თანამედროვე საზოგადოების ანუ ინფორმაციული საზოგადოების პროლექტია. იგი ჩვენი რეალობის მნიშვნელოვანი სფეროა. მისი შინაარსი და შინაგანი კონსტიტუცია ემყარება ზოგადად ინფორმაციის წარმოებას და მოიცავს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის, ინფორმაციის მომპოვებელთა, კონკრეტულ შეტყობინებებზე მის ჩამომქმნელთა, გამავრცელებელთა, გამომყენებელთა და ინფორმაციის გადაცემა-გავრცელების პროცესში წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რთულ სისტემას. მიუთითებენ (და საფუძვლიანადაც), რომ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ სივრცეში საზოგადოებრივი განვითარების საფუძველს შეადგენს ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობა, რომელიც მის ფსიქიკას ემყარება და განსაზღვრავს არა მხოლოდ ამ საზოგადოების ინტელექტუალურ პოტენციალს, არამედ განვითარების უნარსაც და ადგილსაც მსოფლიო საზოგადოებრიობაში. არც ის გარემოებაა დატოვებული უყურადღებოდ, რომ ადამიანის საქმიანობის საფუძველზე ყალიბდება კულტურა, საზოგადოებრივი ცნობიერება და საზოგადოებრივი აზრი ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე.

ერთია განსაკუთრებით აღსანიშნავი და ანგარიშგასაწვევი: ადამიანის ინფორმაციული მოღვაწეობის საფუძველად (და შესაბამისად მის დასახასიათებლად) მოაზრებულია ფსიქიკა. აქედანაა ინფორმაციული საქმიანობის აღმნიშვნელ კომპოზიტურ ტერმინში ინფორმაციისა და ფსიქოლოგიის გვერდიგვერდ ხსენება. მიუთითებენ, რომ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, შენახვა, გადაცემა და გავრცელება ადამიანის ფსიქიური საქმიანობის სფეროს კუთვნილებაა [1]. ამიტომ ფიქრობენ, რომ ინფორმაციული სივრცე იმავდროულად ფსიქოლოგიურიც არის, რადგან იგი ინფორმაციულ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებათა რეალიზების გარემოს წარმოადგენს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგიური ზემოქმედება ადამიანის გონებაზე, აზროვნებაზე, შექცევაზე, აზროვნებით აზრის შემქმნელ გონით-ანალიტიკურ მექანიზმზე ზემოქმედებას გულისხმობს. ამიტომ ფსიქიკურის ნაცვლად აქ უპრიანი იქნება ტერმინ „ინტელექტუალურის“ გამოყენება. მხოლოდ ფსიქიკური (ფსიქოლოგიური ვიწრო გაგებით) განწყობაზე ზემოქმედებას, მის რეგვარობას განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე ინფორმაციული სივრცის განსაზღვრა – დახასიათებაში უნდა შემოვიდეს ცნება „ინფორმაციულ-ინტელექტუალური სივრცე“ და შესაბამისად, კვლევები არა მარტო ფსიქოლოგიის, არამედ ინტელექტის სტრუქტურის სიღრმისეული დონეების შესწავლისაკენ უნდა წარიმართოს. ამდენად ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური გარემო მრავალგანზომილებიანი

ქსელია, რომელიც აგებულია ინფორმაციული ურთიერთობების სუბიექტების კავშირურთიერთობათაგან.

თავად ინფორმაციული სივრცე ღია სისტემაა და შეიცავს ერთმანეთთან უწყვეტ ურთიერთობებში არსებულ ინფორმაციულ ნაკადებსა და ინფორმაციულ ველებს. წმინდა ტექნიკურ პლანში იგი ბაზებისა და მონაცემთა ბანკების, ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური სისტემების, ქსელების ერთობლიობაა, გარკვეული პრინციპებითა და წესებით ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს მომხმარებლის ინფორმაციულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას [2].

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური სივრცე სოციალურ სფეროში შეიცავს ინფორმაციის მაგენერირებელ ერთეულებს, კომუნიკაციების არხებს, სფეროებს, რესურსწარმოქმნელ, ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ კომპონენტებს. აქედან მაგენერირებელი ერთეულებია:

- **ჯგუფური კომუნიკაციები** – მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რედაქციები და ამ რედაქციებში ჩართული საკვანძო კომუნიკატორები, რომლებიც აპერსონიფიცირებენ მოცემული მასობრივი ინფორმაციის საშუალების ინფორმაციას;
- **ნიუსშეიკერები** – საზოგადოებრივი აზრის ლიდერები (პოლიტიკოსები, ეკონომისტები, კულტურული ელიტის წარმომადგენელი);
- **ექსპერტები** – ინფორმაციასთან აქტიურად მომუშავე ინტერპრეტატორები: პოლიტიკოსები, ეკონომისტები, სოციოლოგები, სამხედრო საქმის სპეციალისტები და ა. შ. ინფორმაციული ნაკადების ხასიათი და ფორმა, როგორც წესი, სწორედ მათს კომენტარებსა და ინტერპრეტაციებსა და მოკიდებული;
- **სპეციალური ინფორმაციის მწარმოებელი** – თეატრი, კინო, რეკლამა, მოდა, საქონელი და ა. შ.

კომუნიკაციის არხებია: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და მასობრივი კომუნიკაციებით შექმნილი არხები; პიროვნებათშორისი კომუნიკაციების არხები; ვიწრო ჯგუფებზე გათვლილი სპეციალიზებული არხები (პროფესიონალური გამოცემები, ინტერნეტი); სასაქონლო-ფულადი არხები.

კომუნიკაციის სფეროებს შეადგენს ინფორმაციული საზოგადოების შიგნით არსებული სოციალური წარმონაქმნები, ხოლო ინფორმაციული სივრცის რესურსწარმოქმნელი კომპონენტებია ადამიანის შემეცნებასა და სულში სულიერ-აზროვნებითი მოღვაწეობის შედეგად შექმნილი ინფორმაცია; მასობრივი და ინდივიდუალური ცნობიერება; მთლიანად სოციუმსა და ცალკეული ადამიანების შეგნებაში არსებული ის კულტურული, სულიერი, ზნეობრივ-ეთიკური, რელიგიური და სხვა ფასეულობათა ერთობლიობა, რომელიც თავისებური „სულიერი ინფორმაციული რესურსების“ სახით ყალიბდება ეთნოგენეზის პროცესში.

ინფორმაციული სივრცის ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ კომპონენტებს მიაკუთვნებენ ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ინფრასტრუქტურას, ინფორმაციულ რესურსებს, გამოყენებითი ლინგვისტიკის საშუალებებს, სამართლებრივ ღონისძიებებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტელეკომუნიკაციის, ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების ბაზარს და ა. შ.

ინფორმაციული სივრცე დინამიურია, რადგან ინფორმაციული უპირატესობის შენარჩუნება, ფაქტობრივ, შეუძლებელია. იგი არაერთგვაროვანია, დაცულია და მას ადამიანური საქმიანობის ნებისმიერი სფერო ემყარება.

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური სივრცე გარკვეულწილად არამატერიალური ბუნებისაა და ამის გამო იგი უშუალოდ არის დაკავშირებული რეალურ სივრცესთან [1, 2]. ამის მიუხედავად არსებით ზეგავლენას ახდენს რეალური სივრცის ფორმისა და შინაარსის განსაზღვრაზე. ამ ზეგავლენის ერთი გამოხატულებაა ინფორმაციული გაჯერებულობა-გადატვირთულობა და მისი ერთ-ერთი უმწვავესი გამოვლენა – ინფორმაციული აგრესია.

ინფორმაციული გადატვირთულობა და აგრესიულობა ამ უკანასკნელ 20-წლეულში გახდა თვალშისაცემი, ანუ ახალი დროის პროდუქტია. თანამედროვე ყოფის ერთი ნიშანი საყოველთაო ინფორმატიზაციაა. ადამიანის ფსიქიკა ინფორმაციულ გადატვირთვას განიცდის. ეს ერთი მხრივ, ნაირფერი და ქაოსური ინფორმაციის მოზღვაგების შედეგია, რომელშიც უხვადაა უსარგებლო ინფორმაცია. მეორე მხრივ, ესაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიზანმიმართული ზემოქმედება ადამიანთა დიდი მასების კოლექტიურ ფსიქიკაზე მორჩილ და მართვად ფსიქიკად ქცევის მიზნით. ცნობილია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ადამიანთა ფსიქიკაზე ზემოქმედებას ცდილობენ ჭარბი და ქაოსური ინფორმაციის ზრდით უთავბოლო დახვავებით, ამას გარდა, იმავე მიზნით ისინი ინფორმაციას მიზნობრივ ნაკადებად აერთიანებენ და ობიგატელის ცნობიერების „შტურმით“ მისგან „ადამიანი მასის“ ტიპს ძერწავენ.

თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოსახლეობას თავს ახვევენ გემოვნებას, იდეებს, სტერეოტიპებს და საკუთარ მეპატრონეთა პოლიტიკურ შეკვეთებს ასრულებენ.

თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ადამიანთა გონებრივი და სულიერი თავსმოხვევაც, ვიდრე ვამპირულად მოაქვთ. ამ მიზნით, როგორც მკვლევართა მიერ არის დადგენილი, სრულიად სხვადასხვაგვარი საშუალებები გამოიყენება, ძველი მაგიური ტექნოლოგიების ჩართვით, რომლებიც თანამედროვე ფსიქოლოგიურ ტექნოლოგიებსაც შეიერთებს. მაგალითად, ფონოგრამაში, სადაც აღრეულია (დამახინჯებულია) ტემბრები, სპეციალისტებმა ისეთი ფარული გზავნილები, რომლებიც ადამიანის შემეცნებაზე ზემოქმედებს. უფრო გამოვლენილი მაგალითის მოტანა შეიძლება ტელევიზორის მაყურებელზე ზემოქმედების სფეროდან: ადამიანის მხედველობაზე მავნე ზემოქმედებს ეკრანზე მკვეთრი და ფერადი ლაქების ციმციმი. ციმციმთა სისშირეები (უფრო ზუსტად, ამ რხევების სპექტრის ცალკეული სივრცულ-დროითი ელემენტი) შესაძლოა დაემთხვეს გულის ენერგეტიკული რხევების სისშირე ან გულისა და ტვინის მუშაობის თანხლები ელექტრორხევების სისშირეებს და დიდი საფრთხეები წარმოიქმნება ამ სისშირეთა რეზონანსის შემთხვევაში. ამიტომ, ბუნებრივია, არ უნდა დავუშვათ (განსაკუთრებით ბავშვებში) სინათლისა და ფერების ლაქათა ხწრაფი ციმციმის შემცველი გადაცემების ყურება, რადგან სხვასთან ერთად, აზროვნების ფრაგმენტულობაა, პოლიტიკური ხედვის შეუძლებლობას იწვევს. ამ სახის ინფორმაციული აგრესიისაგან თავდაცვის ღონისძიებათაგან თითქოს ქმედითა ტელევიზორისათვის თავის არიდება, მაგრამ ინფორმაციას მოწყვეტილი ადამიანი კიდევ უფრო იოლი სამართავი ხდება. ამიტომ უფრო მართებული ჩანს სატელევიზიო საინფორმაციო აგრესიის გამოწვევის მიღება. მაგრამ საამისოდ აუცილებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან სწორი ურთიერთობათა ფსიქოლოგიური ტექნიკის დაუფლება [5, 6].

სატელევიზიო პროგრამების ზეგავლენისაგან თავდასაცავად დღეისათვის შემდეგი განწყობების გამოშუქებაა ჩათვლილი მიზანშეწონილად:

- ტელემოსაზრება არის კონცენტრირებული ილუზია. იგი რეალობად მაშინ იქცევა, როცა მისი ძალიან სჯერათ (სწამთ) და ფეხდაფეხ მოჰყვებიან.

- ტელევიზორის ცქერის პროცესში თავი ძალიან არ უნდა გააიგივო იმასთან, რასაც გიჩვენებენ. ძლიერი ნების, ძლიერი სულის ადამიანმა ნებისმიერ მომენტში უნდა შეძლოს ტელევიზორის გამორთვა.

- ინფორმაციულ საზოგადოებაში ინფორმაციული ნაკადებისა და საინფორმაციო არხების სიმრავლე ტელევიზორის ეკრანიდან გავრცელებული ინფორმაციის რეალურ, ონ-ლაინურ რეჟიმში გადამოწმების საშუალებას იძლევა. ინფორმაციის სანდობის გადამოწმება ინფორმაციული აგრესიისაგან თავდაცვის ინტელექტუალურ საშუალებებს მიეკუთვნება.

- ინფორმაციული აგრესიისაგან თავდაცვის ერთი გზა საყურებლად ისეთი პროგრამების შერცევაა, სადაც ნაკლებია (ან საერთოდ არაა) ძალადობა, უხეშობა, უაზრო გართობა—თამაშობები.

ინფორმაციული აგრესიის საწინააღმდეგო საშუალებაა „ინფორმაციული წილისაგან“ გონების (მეხსიერების მატრიცის) გაწმენდა. „ინფორმაციულ წიდაში“ იგულისხმება უვარგისი, არასაჭირო, საეჭვო ღირებულების, აშკარად მავნე ინფორმაცია. ამგვარსავე საშუალებას წარმოადგენს „ტელენარკომანიის“ წინააღმდეგ ბრძოლა, ოღონდ ეს ბრძოლა ადამიანის საკუთარ ტელემესთან ბრძოლა, სულსა და გონებაში მიმდინარე. ტელენარკომანია წლების განმავლობაში ტელევიზორის დიდხანს ყურებით ყალიბდება. ადამიანს უყალიბდება ხელოვნური შინაგანი „მე“, რომელიც იკვებება ტელეჟურნალისტების მიერ მომზადებული ინტელექტუალური და ვიზუალური პროდუქციით. ეს პროდუქცია ადამიანს გამუდმებით ემოციურ, ეფექტურ, ალგზნებულ მდგომარეობაში ამყოფებს. ადამიანი გაუწონასწორებელი ხდება და იოლად ვარდება ერთი უკიდურესობიდან მეორეში – ალფრთოვანებიდან სიძულვილში, ან პირუკუ.

აღსანიშნავია, რომ ტელეეთერზე ნარკოტიკულ დამოკიდებულებას ჟურნალისტებიც განიცდიან, თანაც საკმაოდ მწარედ: წუხან. წრიალებენ როცა დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხედავენ თავს ტელეეკრანზე.

ტელენარკომანიისაგან „გამოჯანმრთელებული“ ადამიანი აღმოაჩენს უტელევიზორო მშვენიერ რეალობას, სადაც დრო თავის ხასიათზე მიედინება, სადაც რეალური ცხოვრება თავისი პრობლემებით და სრული გულგრილობით ტელეეკრანიდან მჩხვანა პოლიტიკურ-ასტროლოგიური მკითხაობებისა და წინასწარმეტყველებებისადმი. თუმცა აქ შეუძლებელია საკითხის სხვა

ასპექტებსაც არ გაეწიოს ანგარიში. არის კი აღნიშნული გამოსავალი? ფსიქოთერაპია საერთოდ კარგია და შედეგის მომტანი, მაგრამ ინფორმაციული აგრესიისაგან დაცვის ღონისძიებათა დამყარება მხოლოდ ფსიქიკაზე საკმარისი არარის. ამას ისეთი ყბადაღებული მაგალითიც ცხადყოფს, როგორცაა სიგარეტის მავნეობის ქადაგება – შეგონება, თითოეულ კოლოფზე „შემადრწუნებელი“ ფრაზეოლოგიის ბეჭდვა. ამის მიუხედავად მწვევლნი ყოველდღიურად მეტნი ხდებიან, ვიდრე მისი უარმყოფელნი. ამასთან მოწვევას თავს, როგორც წესი, ხანდაზმული უფრო ანებებენ. ჩვენი აზრით უფრო ქმედითი შედეგების მომტანი იქნება ტელეკომპანიის მიზეზების კვლევა. ერთ ასეთ მიზეზად გვესახება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების არასტაბილურობა, საზოგადოების მთლიანობის დარღვეულობა, ხელისუფლების გაუცხოება მოსახლეობისადმი, მართვის სტილში რეჟიმის ტენდენციების გაჩენა და საზოგადოების (თუნდაც ერთ ნაწილში) პროტესტის ნიშნად ტელევიზიის შეთავაზებულ ინფორმაციის (და ინფორმაციით შექმნილ) ვირტუალურ სამყაროში „გადასახლება“. მეორე მიზეზია არა ტელევიზიით შექმნილი ვირტუალური სამყაროს დაპირისპირება რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, არამედ მისი მართვა ტელეშუამავლობით – ტელევიზიის (საერთოდ მასმედიის) გადაქცევა ხელისუფლებასა და საზოგადოებას, მოსახლეობას, ოპოზიციას შორის.

ტელევიზორზე დამოკიდებულებისაგან განკურნების ღონისძიებათა შორის სპეციალისტები ამ გარემოებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ნაირგვარი ფსიქოტრენინგების შეთავაზებით ორიენინალურობენ. ამგვარ შეთავაზებებში, მაგალითად, ასეთი ბუდისტური მეთოდიც გვხვდება: ტელევიზორის ყურადღებისაგან განკურნვის მიზნით ჯერ ხმაგამორთულ ტელევიზორს უნდა ვუყუროთ, შემდეგ გამოსახულება უნდა გამოვრთოთ და მხოლოდ ხმა უნდა ცავართოთ, მესამე სტადიაზე კი საერთოდ გამორთული ტელევიზორის ყურებაა რეკომენდირებული. სხვა ბევრი მეთოდი და რეკომენდაციაც არსებობს. სპეციალისტთა მიერ მთელი სისტემა დამუშავებული ინფორმაციული ზომბირების თავიდან ასაცილებლად. ახლა, როდესაც ტელევიზია აღარაა ერთადერთი აუდიოვიზუალური საშუალება და როდესაც მას კომპიუტერისა და ინტერნეტქსელის სახით სერიოზული კონკურენტი გამოჩნდა, გადაუდებელი შეიქმნა კომპიუტერომანიის, კომპიუტერული ნარკომანიისაგან განკურნების ღონისძიებათა დამუშავება, რადგან აქ ადამიანების ინფორმაციული ზომბირების ხიფათი განუზომლად მეტია და დიდი, ვიდრე ტელევიზიაში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საერთოდ (ფორმალურადაც კი) არ არსებობს არც პროფესიონალური ეთიკური კოდექსები მოქმედებს [3,4,7].

ინფორმაციული აგრესიის მინიმიზებისა და თავიდან აცილების ერთ გზად გვესახება ინფორმაციის ტექსტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი ანალიზი კომუნიკაციური ლინგვისტიკის პრინციპის საფუძველზე [2,3]. მხედველობაშია გამონათქვამის (წინადადების) შინაგანი სტრუქტურა და მისი ძირითადი ელემენტები. ცნობილია, რომ დასრულებული აზრის შემცველი გამონათქვამი 3 ნაწილისაგან (ელემენტისაგან) შედგება:

- **თემა** – ძველი წინარე, ახალი აზრის წანამდღვარი;
- **რემა** – ახალი, რაც გარკვეულად ძველისაგან გამომდინარეობს;
- **სემა** – კავშირის, ინფორმაციის არხის ფუნქციის მქონე ნაწილი, აზრშემკვრელი.

ამ სტრუქტურას ემყარება ნებისმიერი ტექსტი, ანუ ინფორმაცია. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ნებისმიერ ინფორმაციას აქვს წანამდღვრები, იმ ცოდნის, წარმოდგენების სახით, რაც საერთოა მთელი სოციუმის ხალხის საზოგადოების და აქედან გამომდინარე ინფორმაციის თითოეული მიმღებისათვის. ამ საერთო (ფონური) ცოდნით იქმნება ინფორმაციის აღქმისათვის აუცილებელი გზაობა. აბსოლუტურ სიცარიელეში ინფორმაცია ვერც შეიქმნება, ვერც გადაიცემა და ვერც აღიქმება. ამიტომ, ინფორმაციული აგრესიის თავიდან ასაცილებლად ინფორმაციაც ნაწილებად უნდა დაიშალოს (თემად, სემად, რემად) და ფონური ცოდნით რაც მეტწილად შეთავაზებული ინფორმაციის ტექსტის მიღმად და მხოლოდ მცირე ნაწილია თავად ამ ტექსტში) უნდა შემოწმდეს, რამდენად ლოგიკურად გამომდინარეა შემოთავაზებული ინფორმაცია იმისაგან, რაც თემის სახით უკვე ცნობილია. ალოგიზმის ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი მაჩვენებელი ინფორმაციული დეზინფორმაციის, აგრესიის სიღრმისა და სივრცის პარამეტრების მაჩვენებელი იქნება. ხოლო იმის გამო, რომ ამგვარ ანალიზს შესატყვისი ცოდნა და უნარ-ჩვევები სჭირდება, ვაყენებთ შემდეგ პრობლემას:

ინფორმაციულ საზოგადოებაში ინფორმაციის ბუნების ცოდნა ისევე აუცილებელია, როგორც წერა-კითხვისა. ინფორმაციული აგრესიისაგან თავდაცვა ინფორმაციის ბუნების ცოდნას უნდა

დაემყაროს და არა მხოლოდ ადამიანის ფსიქიკას. აღნიშნული გლობალური პრობლემის გადაწყვეტა უნდა დაემყაროს ორ ახალ დისციპლინას:

1. ინფორმაციულობის აღზრდა;
2. ინფორმაციულ-კომუნიკაციური განათლება.

ამ დისციპლინათა საგანმანათლებლო სივრცეში შემოტანა-დამკვიდრების ლოგიკურ აუცილებლობას ცხადყოფს თუნდაც ისეთი ცნების გაჩენა, როგორცაა „ინფორმაციული საქციელი“. თუ კი არსებობს საქციელი, როგორც ახალი ეთიკური კატეგორია, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს ამ საქციელის ნორმების გამოუმუშავებისა და აღზრდის ტექნოლოგიაც და მეთოდოლოგიაც.

„ინფორმაციულობის აღზრდისა“ და „ინფორმაციულ-კომუნიკაციური განათლების“ საკუთრივი შინაარსის ჩვენს შემდგომ წერილებში იქნება წარმოდგენილი.

ლიტერატურა:

1. Манойло А. В., Петренко А. И., Фролов Д. Б.. Государственная информационная политика в условиях информационно-психологической войны. М. Горячая линия – телеком. 2007
2. ჩოგვაძე გ., გოგიანიშვილი გ., სურგულაძე გ., შეროზია თ., შონია ო. მასის დაპროექტება და აგება, სტუ, 2004
3. Паринов С. Информационное общество: контуры будущего <http://rvles.ierie.nsc.ru/parinov/shaps.htm>
4. Козер Л. А. Функции социального конфликта, сборник: Социальный конфликт. М. 1991.
5. Хлопев. Средства массовой информации как источник информационно-психологической неустойчивости, сборник: Проблемы информационно-психологической безопасности. М. 1996
6. Lasswell H. Analyzing the Content of Mass Communications. H. Y. 1942
7. ლებანიძე გ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა, „ენა და კულტურა“, თბილისი, 2005.

INFORMATION-PSYCHOLOGICAL SPACE AND PROBLEMS OF PROTECTION AGAINST INFORMATION AGGRESSION

Djagodnishvili Temur, Shonia Otar
Georgian Technical University

Summary

This article describes the characteristics of information-psychological space, issues related to the information aggression and its manifestation. The article clearly indicates that the applicable research practice in the field of information aggression (intervention on the basis of personality psychology) is not currently sufficient. The importance to analyze the nature of the information itself is being highlighted. The possible way of research is application of the principle of communicative linguistic that divides the of the text information into the messages (expressions) at theme-seme-rhematic parts, being followed by the intellectual comprehension of information to make optimal approach to its content and prevent information aggression. The intellectual comprehension of the content of text to distinguish the dangerous and aggressive clauses requires the special knowledge, we propose to add the new subjects into the educational curriculum including "information education" and "Information and Communication Education".

ИНФОРМАЦИОННО-ПСИХОЛОГИЧЕСКОЕ ПРОСТРАНСТВО И ПРОБЛЕМЫ ЗАЩИТЫ ОТ ИНФОРМАЦИОННОЙ АГРЕССИИ

Джагоднишвили Т., Шония О.
Грузинский Технический Университет

Резюме

Описываются характерные особенности информационно-психологического пространства, рассматриваются вопросы информационной агрессии и некоторые формы ее проявления. Указывается, что существующая практика исследований в области информационной агрессии (интервенции на основе психологии личности) на современном этапе недостаточны. Выдвигается тезис необходимости изучения природы самой информации. Одним из возможных путей исследований в данном направлении предлагается применение принципа коммуникативной лингвистики деления текста информации как сообщения (высказывания) на тема-сема-рематические части, и тем самым интеллектуального осмысления информации для выработки оптимального подхода к ее содержанию и предотвращению информационной агрессии. А так как интеллектуальное осмысление содержания текста информации с целью выделения в нем опасностей и агрессивности требует специальных знаний, предлагается внести в образовательное пространство такие новые учебные дисциплины, как „Информационное воспитание“ и „Информационно-коммуникационное образование“.